



არემბი

სიასღუები

რიჩ მეტალს გრუპი

N 22 | მაისი | 2016



**კომპანია „არემბი“ დაბა
კაზრეთის პირველ და
მეორე საჯარო სკოლების
კურსდამთავრებულებს
2016 წლის ბოლო ფარი
მიულოცა, წარმატება
უსურვა და მე-12 კლასის
58 მოსწავლეს ფულადი
საჩუქარი გადასცა.**

ბოლო ფარი- 2016

ნანა ოდიშელიძე (კაზრეთის №1 საჯარო სკოლის დირექტორი) – „უღრმესი მადლობა „არემბის“ ასეთი თანადგომისათვის. მე-12 კლასელები ამთავრებენ სკოლას, ცხოვრების ახალ ეტაპზე გადიან და ასეთი თანადგომა და ყურადღება მართლაც მნიშვნელოვანია მათთვის. მეორე წელია ასეთ ყურადღებას იჩენს „არემბი“ ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულებისადმი და ძალიან დიდი მადლობა მათი სახელით! წარმატებები კომპანიას, წარმატებები ჩვენს მოსწავლეებს!

მარინა გაბიძაშვილი (კაზრეთის №1 საჯარო სკოლის პედაგოგი) – „პირველ რიგში, დიდი მადლობა კომპანიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბავშვების ყურადღებისა და დაფასებისთვის. იმედი, მსგავსი ღონისძიებები ყოველთვის იქნება და ვიგრძნობთ კომპანიის თანადგომას.“

ანა ბერუაშვილი (კაზრეთის №1 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული) – „ბედნიერი ვარ დღევანდელი დღით. ბედნიერი ვარ, რომ კაზრეთის პირველ საჯარო სკოლაში ვსწავლობ და ბედნიერი ვარ, რომ კომპანიამ გადმოგვცა ფულადი საჩუქარი.“

მადონა ყაფლანიშვილი (კაზრეთის №2 საჯარო სკოლის პედაგოგი) – „დიდი მადლობა, რომ დაბის

ორივე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს კომპანიისგან ფულადი საჩუქარი. მოსწავლეების, სკოლისა და პირადად ჩემი, როგორც კლასის ხელმძღვანელის, სახელით დიდი მადლობა კომპანიას, ყველა იმ ადამიანს, ვინც გამოიჩინა გულისხმიერება, მიულოცა ბავშვებს მნიშვნელოვანი დღე და ფინანსური დახმარებას გაუწია, რაც ნამდვილად დროულიც იყო და საჭიროც.“

**კომპანია „არემბი“ თითოეულ
კურსდამთავრებულს კიდევ ერთხელ ულოცავს ამ
მნიშვნელოვან დღეს და წარმატებულ მომავალს
უსურვებს მათ!**



„ეტალონი 2016“ დასრულდა



ეროვნული მედიაპროექტი „ეტალონი“ დასრულდა. 2015-2016 წლის საქართველოს „ეტალონის“ ტიტულის მოსაპოვებლად 21 მაისს, სპორტის სასახლეში საფინანსო შეხვედრა გაიმართა, სადაც ქვეყნის მასშტაბით შერჩეულმა 82-მა მოსწავლემ და მათმა გულშემოტიკვარმა ერთად მოიყარა თავი. ბოლნისის მუნიციპალიტეტის სახელით, ფინალში დაბა კაზრეთის № 2 საჯარო სკოლის მოსწავლე ლანა ექიზაშვილი წარდგა. კომპანია „არემჯი“-ს დაფინანსებით, ლანა გულშემოტიკვარებთან ერთად სპორტის სასახლეში გაემგზავრა. კომპანიამ მათ „ეტალონის“ 75 ბილეთი და აქსესუარები შეუძინა. მგზავრობის ხარჯები კი მუნიციპალიტეტის გამგეობამ უზრუნველყო.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლნისის წარმომადგენელი ცხრა საუკეთესო „ეტალონი მოსწავლის“ გვერდით ვერ მოხვდა, დანარჩენი მონაწილეების მსგავსად, „ეტალონის“ ავტორისა და წამყვანის, გოჩა ტყეშელაშვილის გადანყვებილებით, მე-10 ადგილზე გავიდა.

ლანა ექიზაშვილი (ბოლნისის „ეტალონი მოსწავლე“) - იმ განწყობით წავედი ფინალურ შეხვედრაზე, რომ გამოცდილება შემეძინა და ჩემი შესაძლებლობები შემემოწმებინა. ვთვლი, რომ ეს უკვე დიდი წარმატებაა ჩვენს ასაკში და მინდა გამარჯვებულს მივულოცო საქართველოს „ეტალონი მოსწავლის“ ტიტული. ასევე

აღვნიშნავ „არემჯის“ დახმარებას, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ამ დღისთვის.

დინარა პირველი (კაზრეთის №2 საჯარო სკოლის დირექტორი) – „დაბა კაზრეთის მე-2 საჯარო სკოლას გვაქვს პატივი, რომ ამ არაჩვეულებრივ პროექტში წარმოგვედგინა ბოლნისის მუნიციპალიტეტი. რა თქმა უნდა, მადლობას ვუხდით ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელმაც იზრუნა ჩვენზე. ასევე განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით კომპანია „არემჯის“, რომელმაც დაგვაფინანსა, შეგვიძინა ბილეთები და აქ ჩამოსვლის საშუალება მოგვცა. ასევე შეგვიძინა აქსესუარები, რომ გულშემოტიკვარებს ლამაზად წარმოგვეჩინა ბოლნისის რაიონი.“

ელენი ბასილაშვილი (კაზრეთის №2 საჯარო სკოლის მოსწავლე, ქომაგი) – „დიდი მადლობა „არემჯის“, რომ შეგვიძინა ბილეთები, კეპები და დროშები. რაც ჩვენთვის ძალიან სასიხარულო იყო.“

საქართველოს ეროვნული მედიაპროექტი 2015 წლის შემოდგომიდან დაიწყო. პროექტის ფარგლებში „ეტალონის“ ავტორი და წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი, შემოქმედებით გუნდთან ერთად, საქართველოს ყველა ქალაქსა და მუნიციპალიტეტს ეწვია. ის ადგილზე ავლენდა „ეტალონი-მოსწავლეებს“.

საქართველოს 2015-2016 წლის „ეტალონი მოსწავლის“ ტიტულს ბათუმის წარმომადგენელი ანრი ფალავა დაეუფლა.



„არემჯი“ ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს აღდგომა მიულოცა



კომპანია „არემჯის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლები წინასააღდგომო დღეებში საქველმოქმედო ფონდ „ვაჩუქოთ ღიმილის“ წევრებთან ერთად მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ლეიკემიის ცენტრის პატარა პაციენტებს ესტუმრნენ და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცეს. 32 ბავშვს, რომლებიც ინტენსიური მკურნალობის კურსს გადიან ონკო-ჰემატოლოგიურ განყოფილებაში, კომპანიის წარმომადგენლებმა სააღდგომო ტკბილეული, სუვენირები და ფერადი ბუშტები გადასცეს. ლეიკემიის ცენტრის პატარა პაციენტებისათვის საქველმოქმედო ფონდ „ვაჩუქოთ ღიმილის“ ორგანიზებით სისტემატურად ეწყობა სხვადასხვა საქველმოქმედო და გასართობი ღონისძიებები.

თენგიზ კალანდია - საქველმოქმედო ფონდი „ვაჩუქოთ ღიმილი“-ს დამფუძნებელი - „ჩვენი საქველმოქმედო ფონდის მიზანია მაქსიმალურად განვეუქვითოთ ლეიკემიის ცენტრში მყოფ პატარებს და მათ მშობლებს ის სირთულეები, რასთანაც მათი ყოველდღიური ყოფაა

დაკავშირებული. ჩვენ შევისწავლეთ უცხოეთში მოქმედი ანალოგიური ორგანიზაციების საქმიანობა და გადავწყვიტეთ, რომ ეს პროექტი შემოგვეტანა ქართულ რეალობაში ისე, რომ მას მისცემოდა მუდმივი ხასიათი. სიცოცხლე, გარდა დადებითი ემოციური ეფექტისა, ფსიქოლოგიური და სამკურნალო თვისებას გააჩნია და ჩვენ გვინდა გავხდეთ „სიცოცხლის ექიმები“. ჩვენი საქმიანობა დიდწილად დაკავშირებულია კეთილი ადამიანების გულისხმიერებაზე, რადგან მათი დახმარების გარეშე ჩვენ გავგიჭირდება ბავშვების და მათი მშობლების გახარება. მოხარული ვართ, რომ „არემჯი“ ჯგუფმა გამოიჩინა გულისხმიერება და ამოგვიდგა გვერდში, რომ ერთად მიგველოცა პატარა პაციენტებისათვის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული.“

მარიამ ხულუზაური - ონკო-ჰემატოლოგიური განყოფილების ექთნის დამხმარე - „არემჯის“ სტუმრობამ კიდევ უფრო მეტად მოგვითანა სადღესასწაულო განწყობა მ.იაშვილის ბავშვთა ონკო-ჰემატოლოგიურ განყოფილებაში. სტუმრების მიერ მომზადებულმა საჩუქრებმა ბავშვებში ძალიან დიდი სიხარული გამოიწვია. ის ყურადღება და მზრუნველობა, რომელიც მსგავს ვიზიტებს თან ახლავს, თითოეული ბავშვისათვის მნიშვნელოვანია და დადებით განწყობას უქმნის პატარებსაც და მათ მშობლებსაც. ჩვენ კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვუხდით „არემჯის“ სტუმრობისათვის.“



„არემჯის“ სააღდგომო საჩუქრები



კომპანია „არემჯიმ“ უამრავი ადამიანი გაახარა - დაბა კაზრეთის სოციალურად დაუცველ ოჯახთა საცხოვრის, ბოლნისის კომუნალური მეურნეობის 30-მდე თანამშრომელს და ბოლნისის მუნიციპალიტეტის რამდენიმე ორგანიზაციას სააღდგომო საჩუქრები გადასცა. კომპანიის წარმომადგენლებმა საჩუქრები დღის ცენტრ



„განთიადის“ აღსაზრდელებსა და უსინათლოთა კავშირის ბოლნისის ფილიალის ასამდე ბენეფიციარს დაურიგეს. კომპანია ასევე შეუერთდა წითელი ჯვრის ბოლნისის ხანდაზმულთა დღის ცენტრის აქციას, სახელწოდებით, „ჩვენ გვახსოვხართ“ და მოხუც

ბენეფიციარებს საჩუქრები გადასცა.

თამუნა გვიდიანი (დღის ცენტრ „განთიადის“ მენეჯერი) – „მადლობა „არემჯის“ მოულოდნელი საჩუქარი იყო და ძალიან გაგვახარეს, რომ აღდგომის დღესასწაული მოგვილოცეს.

დინარა პირველი (წითელი ჯვრის ბოლნისის დღის ცენტრის მენეჯერი) – „დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „არემჯის“ წითელი ჯვრის ბოლნისის დღის ცენტრის ხანდაზმულებისა და წითელი ჯვრის ბოლნისის ფილიალის ახალგაზრდული ფრთის სახელით ამ



არაჩვეულებრივ საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობისათვის“.

ქეთო კენჭოშვილი (ბენეფიციარი) – „უღრმესი მადლობა მათ და ყველას, რომ ასე დაგვაფასეს და აღდგომას ასეთი საჩუქრებით შეგვახვედრეს“.

კომპანიის ორდღიანი აქტივობა ბოლნისის მოხუცთა თავშესაფარ „ჭალარასა“ და სოციალურად დაუცველ ოჯახთა ორ ადგილობრივ საცხოვრისშიც გაგრძელდა, სადაც ათეულობით ბენეფიციარსა და სოციალურად დაუცველ ოჯახებს სააღდგომო საჩუქრები დაურიგეს.

კომპანიას მსგავსი სახის აქტივობა არაერთხელ გაუმართავს რეგიონის მასშტაბით.



ფოტოფაქტი: 2016 წლის 24-26 აპრილს

კაზრეთელმა მოჭიდავეებმა კიდევ ერთხელ ასახელეს რეგიონი და ნოდარ დეკურიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე საპრიზო ადგილებს დაეუფლნენ. ნუგზარ ტატუაშვილი (29კგ.) მე-3 ადგილის მფლობელი გახდა. გივი დემურაშვილი (63კგ.) და კოტე დევდარიანი (69კგ.) მე-2 საპრიზო ადგილზე გავიდნენ, ხოლო დავით ურუმაშვილმა (54კგ.) ტურნირის ჩემპიონობა იზეიმა. ვულოცავთ და წარმატებას ვუსურვებთ მათ!